საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/31

01/02/2019

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციაში“ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციაში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იზოლატორის სამედიცინო პუნქტი იზოლატორში პირის შემოყვანისას დაუყოვნებლივ უნდა ახორციელებდეს ამ პირის სხეულის დათვალიერებას, დაზიანებების რეგისტრაციასა და აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურისა და სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. იზოლატორში მოთავსებისას პირის პირველადი სამედიცინო შემოწმების დროს აღმოჩენილი ძალადობის ნებისმიერი კვალი დეტალურად უნდა იქნას დოკუმენტირებული, აღნიშნული პირის შესაბამის განცხადებასა და ექიმის დასკვნასთან ერთად. ანალოგიური მიდგომა უნდა იყოს ყოველთვის, როდესაც მოთავსებულ პირს მიეწოდება სამედიცინო მომსახურება იზოლატორში მომხდარი ძალადობის ფაქტის შემდეგ ან რაიმე მიზეზით ხორციელდება მისი გაყვანა იზოლატორიდან და შემდგომ კვლავ ხდება მისი დაბრუნება. სამედიცინო პუნქტში უნდა არსებობდეს მოთავსებულ პირთა ტრავმების/თვითდაზიანების აღწერის ჟურნალი (დანართი №6), რომელშიც უნდა აისახოს: მოთავსებული პირის გვარი და სახელი, დაზიანების აღმოჩენის დრო, დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი, დაზიანების წარმომავლობა, იზოლატორის მორიგე ექიმისა და მოთავსებული პირის ხელმოწერები. გამოვლენილი სხეულის დაზიანების შემთხვევების შესახებ აუცილებელია პერიოდული სტატისტიკის წარმოება და მისი მიწოდება როგორც

იზოლატორის უფროსისა და სამედიცინო მომსახურების სამსახურისთვის, ასევე სხვა სათანადო უწყებებისთვის. მოთავსებულ პირთა დაზიანებებისა და ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერის ასლი თან ერთვის მოთავსებული პირის სამედიცინო ბარათს.“.

2. ბრძანება გაეცნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

3. ბრძანება ძალაშია 2019 წლის 2 თებერვლიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი
გახარია გიორგი